



სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
წარმომადგენლობითი საბჭო (სენატი)
დადგენილება № 01-06-02/88

ქ. თბილისი

27 თებერვალი 2018 წ.


ფაბ ლაბ ლაბორატორიის „ბიზნესინკუბატორში“ პროგრამირებადი მოწყობილობების
მომსახურების ფასების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“ მე-11 მუხლის, ფაბ ლაბ ლაბორატორიის „ბიზნესინკუბატორის“ დირექტორის, ბ-ნი გიორგი ფრანგიშვილის 2018 წლის 8 ნოემბრის №01-09-47/9431 განცხადებისა და წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი) 2018 წლის 27 დეკემბრის №01-06-02/15 ოქმის საფუძველზე საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითმა საბჭომ (სენატი) დაადგინა:

1. დამტკიცდეს ფაბ ლაბ ლაბორატორიის „ბიზნესინკუბატორში“ პროგრამირებადი მოწყობილობების მომსახურების ფასები ამავე ლაბორატორიის დირექტორის, ბ-ნი გიორგი ფრანგიშვილის 2018 წლის 8 ნოემბრის №01-09-47/9431 განცხადების №1 და №2 დანართების შესაბამისად;
2. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში, მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ, №6.

სტუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი)

სპიკერი, პროფესორი


ჯემალ გახოკიძე